# საქართველოს საექთნო განათლების პროგრამა

**პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის**

**ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა**

მსოფლიოში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო დაწესებულებებში საექთნო საქმის ორგანიზაციის რეფორმირებას და საექთნო პრაქტიკის გაუმჯობესებას, როგორც სამედიცინო მომსახურების ღირებულების შემცირების, მომსახურების ხარისხის ამაღლების და მკურნალობისა და მოვლის გამოსავალის გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

**ექთანი, როგორც სამედიცინო დაწესებულების ყველაზე მრავალრიცხოვანი ადამიანური რესურსი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დაწესებულებაში მოთავსებული ავადმყოფის კონფორტისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების დონეს. ამასთან ერთად, პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების განათლების გზით ექთანი ამცირებს გართულებების განვითარების შესაძლებლობებს და ეხმარება პაციენტს მავნე ჩვევების დამარცხებაში.**

სამწუხაროდ, საქართველოში სადღეისოდ არსებული საექთნო განათლების სისტემა ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს ექთნის წინაშე დაყენებულ ახალ მოთხოვნებს, როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების თვალსაზრისით.



პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) მხარდაჭერით ცდილობს საექთნო პრაქტიკის თანამედროვე პრინციპები დანერგოს საქართველოს ჯანმრთელობის სისტემაში პირველ რიგში თანამედროვე საექთნო მოვლის უნარ-ჩვევების მქონე ექთნების მომზადების გზით, ვინც აკმაყოფილებს სამედიცინო დაწესებულებებში ექთნის წინაშე არსებულ ახალ მოთხოვნებს და დაინტერესებულია მუდმივად განვითარდეს, როგორც პროფესიონალი ექთანი.

**2009 წლის სექტემბრიდან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "საქართველოს საექთნო განათლების პროგრამის"** ფარგლებში ექთნების გადამზადება ხდება ქართველი ინსტრუქტორების მიერ, რომელთაც გაიარეს ემორის უნივერსიტეტის ექთანი პედაგოგების სწავლების 4 თვიანი ინტენსიური კურსი.

ყველა ექთანი სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს გადამზადების პროგრამაში, პირველ რიგში გადის ზოგად საექთნო კურსს (5 კვირა) და შემდეგ ირჩევს სპეციალიზაციის კურსს (3-დან 4 კვირამდე).

პრაქტიკული კლინიკური სწავლებისათვის ბაზებად გამოყენებულია აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მულტიპროფილური, გადაუდებელი მედიცინისა და კრიტიკული მედიცინის განყოფილებები, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო და დავით გაგუას სამშობიარო კლინიკა.

2013 წლამდე მომზადდება 2500-ზე მეტი ექთანი.



## კურსების ჩამონათვალი

**ზოგადი კურსები:**

1. ზოგადი საექთნო კურსი – 5 კვ.
2. ზოგადი პედიატრიული საექთნო კურსი – 5 კვ.
3. ამბულატორიული ექთნის ზოგადი კურსი – 6 კვ.

**სპეციალიზაციის კურსები:**

1. გადაუდებელი მედიცინის ექთნის კურსი - 4 კვ.
2. კურსი სამეანო განყ. ექთნებისათვის - 3 კვ.
3. საოპერაციოს ექთნის კურსი – 3 კვ.
4. ინტენსიური განყ. ექთნის კურსი – 4 კვ.
5 ექთანი ლიდერი/ადმინისტრატორის კურსი—4 კვ.

+ 995 32 244859; 747408